

თავდების, როგორც ვალდებულებითი სამართლის სუბიექტის
პასუხისმგებლობის ფარგლები და მისი დაცვის გზები (ქართული და
უცხოური მიდგომები)

ქეთევან ჩიხლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ჩიხლაძე

2022 წელი

აბსტრაქტი

თავდებობა მოთხოვნის უზრუნველყოფის ყველაზე ხშირად და დიდი ინტენსივობით გამოყენებადი საშუალებაა. მისი ასეთი აქტუალურობა ხშირად განაპირობებს თავდების პასუხისმგებლობის ფარგლების ზუსტად დადგენისა მისი დაცვის გზების ძიების საჭიროებას, რაც სწორედ ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია თავდებობის ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები როგორც ქართული, ისე უცხოური კანონმდებლობის მიხედვით. ასევე წარმოჩენილია ამ ნორმების სასამართლო პრაქტიკაში გამოყენების ეფექტურობა.

ნაშრომი იწყება შესავლით, სადაც საუბარია ზოგადად თავდებობის ინსტიტუტის აქტუალურობაზე და თავდების დაცვის საჭიროებაზე, რაც ამ აქტუალურობას მოსდევს თან. ნაშრომი მოიცავს 7 თავს, დასკვნასა და ბიბლიოგრაფიას. ნაშრომის თავები განაწილებულია იმგვარად, რომ თავდაპირველად შექმნას ზოგადი წარმოდგენა თავდებობის ინსტიტუტსა და მის ბუნებაზე, მასში მონაწილე მხარეებზე, შემდგომ კი განხილულია თავდების უფლებები და შესაგებლები, მისი პასუხისმგებლობის ფარგლები და დაცვის მექანიზმები. ყოველივე აღნიშნულზე განხილული თეორიული მასალა ასევე შევსებულია მაგალითებით ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკიდან.

იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე საკრედიტო ურთიერთობები ძალიან ხშირია და შესაბამისად მომატებულია თავდებობის გამოყენებაც, საკვლევი თემა საკმაოდ საინტერესო და გამოყენებადი იქნება საკითხის გარშემო ინფორმირებულობის ამაღლებისა და პრობლემების გადაჭრის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: თავდებობა, თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები, თავდების უფლებები და შესაგებლები, თავდებობის მხარეები, თავდების დაცვის მექანიზმები.

Abstract

Suretyship is the most frequently and intensively used type of securing demand. Its urgency often leads to the need to find ways to protect the surety, which is the main purpose of the paper.

The present paper discusses the regulatory norms of the institution of suretyship according to both Georgian and foreign legislation. The effectiveness of the application of these norms in case law is also presented.

The paper begins with an introduction, which discusses the urgency of the institution of suretyship in general and the importance of protecting sureties. The paper also includes 7 chapters, a conclusion and a bibliography. The chapters of the paper are distributed in such a way as to first create a general idea of the institution of suretyship and its nature, the parties involved, and then discuss the rights and objections of suretyship, its scope of responsibilities and protection mechanisms. The theoretical material discussed on all of the above is also supplemented by examples from Georgian and foreign case law.

Given that credit relations are very common due to the current economic situation and consequently the use of surety has increased, the research topic will be quite interesting and useful in terms of raising awareness around the issue and solving problems.

Key words: suretyship, scope of surety's liability, surety's rights and claims, suretyship parties, surety's protection mechanisms.